

თავთან დაკავშირებული იდიომები ქართულ და ინგლისურ ენებში

აბსტრაქტი: სტატიის მიზანია გავაანალიზოთ თავთან დაკავშირებული იდიომები. ნაშრომში განხილულია თავთან დაკავშირებული იდიომების თავისებურებები ქართულ და ინგლისურ ენებში. სტატია გვთავაზობს იდიომთა კლასიფიკაციას, სახელდობრ, სემანტიკური, ლექსიკური და ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით. თეორიულ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია იდიომთა განსაკუთრებულ ნიშნებზე, მათ კლასიფიკაციასა და სტრუქტურაზე. პრაქტიკული ნაწილი ეთმობა თავთან დაკავშირებული ქართული და ინგლისური იდიომების ანალიზსა და მათ შედარებას აღწერილობითი თვისებრივი მეთოდის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: იდიომები, კლასიფიკაცია, სტრუქტურა.

ქართულ ლინგვისტიკაში იდიომთა კვლევები XX საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება. 1955 წელს არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის IV ტომში იდიომი განისაზღვრება, როგორც ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ქეგლ 1955). სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იდიომის განმარტებასთან დაკავშირებით. იდიომი მომდინარეობს ძველი ბერძნულიდან, რაც თავისებურებას ნიშნავს, რომლის შესატყვისია საკუთარი / კერძო. იდიომთან დაკავშირებული განმარტებების მრავალფეროვნებაც სწორედ ამ „კერძო თავისებურებების“ სუბიექტურ გეგმა- წარმოდგენას უკავშირდება (ახალაძე 2021 :13).

ქართულში ტერმინი „იდიომი“ იდიომური გამოთქმის მნიშვნელობით დამკვიდრდა რუსულის გავლენით, რომელიც ინგლისურის მსგავსად აქტიურად იყენებდა -ატ- სუფიქსს.

შესაბამისად, ქართულ ენაშიც რუსული ენისა და დასავლეთევროპული ენების მიხედვით გაჩნდა ტერმინი იდიომატური. ტერმინ „იდიომურის“ საპირისპიროდ, რომელიც ქართული ენისთვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რაკი უშუალოდ „იდიომისაგან იწარმოება“ (ლობჯანიძე 2012: 30).

ა. თაყაიშვილი იდიომს ასეთ დეფინიციას აძლევს, რომლის მიხედვით „იდიომი არის შესიტყვება ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს“ (თაყაიშვილი 1961:41).

თ. გამყრელიძის მიხედვით, „იდიომები ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს, მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა აზრობრივად გარდაქმნილია. მათთვის დამახასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემების მსგავსი სინთეზური ფუნქცია. იდიომები ლექსემათა ექსპრესიული სინონიმებია, მათი მნიშვნელობა შეიცავს არა მარტო კომპონენტებისთვის დამახასიათებელ კონოტაციებს, არამედ თვით ფრაზების ხატოვან საფუძველსაც; ამიტომ იდიომის მნიშვნელობა ლექსემის მნიშვნელობაზე უფრო მდიდარია“ (გამყრელიძე 2008: 376).

რ. შეროზია კი ასე განმარტავს: „იდიომი მხატვრული აზროვნების შედეგად არის წარმოქმნილი და ისეთივე მყარი, უცვლელი ოდენობაა, როგორც ნებისმიერი სიტყვა. „იდიომი“ შეფარვით ამბობს სათქმელს და არა პირდაპირ. იგი „გაქვავებული“ მეტაფორაა (შეროზია 2014: 179-181).

კვეტკოს აზრით, იდიომები შეიძლება დავახასიათოთ როგორც:

- მათ აქვთ მრავალსიტყვიანი ბუნება;
- ისინი არიან ინსტიტუციონალიზებული - მიჩნეულნი არიან, როგორც ერთეულები ენის საზოგადოების მიერ;
- ისინი წარმოადგენენ სიტყვების მყარ კომბინაციას;
- მათი მნიშვნელობა არაზუსტია, მაგრამ სრულიად ხატოვანი/ფიგურალური და უნიკალური (Kvetko 2009:103).

ავტორი მიიჩნევს, რომ სტაბილურობის თვალსაზრისით, ზოგი იდიომი არის სავსებით მტკიცე/მყარი, ისინი არ განიცდიან ცვლილებას, სხვა იდიომები აძლევენ საშუალებას

მოლაპარაკეს გამოიყენოს გარკვეული რაოდენობა ცვლილებისა - ანუ ესენია არამდგრადი/ცვალებადი იდიომები ან იდიომები სხვადასხვა ვარიაციით (Kvetko 2009:104).

კვეტკო განასხვავებს გრამატიკულ, ლექსიკურ, ორთოგრაფიულ და გეოგრაფიულ ვარიანტებს ცვალებად იდიომებში.

- გრამატიკული ვარიანტები - გრამატიკულ ვარიანტებში შედის არარეგულარული, შეზღუდული მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებები.
- ლექსიკური ვარიანტები - ლექსიკურ ვარიანტებში შედის სავალდებულო/აუცილებელი და არასავალდებულო ვარიანტები იდიომების ლექსიკურ სტრუქტურებში.
- ორთოგრაფიული ვარიანტები - ორთოგრაფიულ ვარიანტებში ცვლილებები ეხება ორთოგრაფიას, პატარა და დიდი ასოების წერას, დეფისის ან წერტილის გამოყენებას და ა.შ.
- გეოგრაფიული ვარიანტები წარმოადგენენ განსხვავებულ ტიპს იმიტომ, რომ ისინი შეიცავენ ყველა ზემოთ ხსენებულ ცვლილებას, ისინი გამოიყენება ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნების ერთ ნაწილში (Kvetko 2009:105).

ავტორის აზრით, კონსტრუქციის თვალსაზრისით იდიომები კლასიფიცირდება ზმნურ და არაზმნურ იდიომებად, წინადადება იდიომებად და მინიმალურ იდიომებად.

- იდიომები ზმნური სინტაგმატური სტრუქტურით - ზმნური იდიომები შეიცავს ზმნას/შემასმენელს და დამატებას.
- იდიომები განსხვავებული სინტაგმატური სტრუქტურით ზმნის გარეშე, უზმნო იდიომები
 - იდიომები წინადადების სტრუქტურით (წინადადება იდიომები)
 - ზოგიერთი ლინგვისტი აგრეთვე საუბრობს ე.წ. „მინიმალურ იდიომებზე“- იდიომატურ გამოთქმებზე ყველაზე ცოტა ერთი ლექსიკური სიტყვისაგან შემდგარი (Kvetko 2009:105-106).

საინტერესოა ავტორის მოსაზრება იდიომებზე სემანტიკური კუთხით. სემანტიკური თვალსაზრისით, იდიომების ბუნდოვნების მიხედვით, ისინი შეიძლება დაიყოს სუფთა/წმინდა (დემოტივირებული/ბუნდოვანი) ნაწილობრივ მოტივირებული (ნახევრად ბუნდოვანი) და ნახევარ - იდიომები.

- დემოტივირებული იდიომები, სადაც სინქრონულად არ არსებობს კავშირი ინდივიდუალური სიტყვების მნიშვნელობასა და მთლიან იდიომის მნიშვნელობას შორის.

- ნაწილობრივ მოტივირებული იდიომები, სადაც გარკვეული კავშირია მთლიან მნიშვნელობასა და ინდივიდუალური სიტყვების მნიშვნელობებს შორის

- ნახევარიდიომები, სადაც ერთი სიტყვა გამოყენებულია გადატანითი მნიშვნელობით, მეორეს კი პირდაპირი მნიშვნელობა გააჩნია (Kvetko 2009:106).

კვეტკო იდიომებს შემდეგ ჭრილშიც განიხილავს. იდიომები შეიძლება აგრეთვე დაიყოს არარეგულარობის თვალსაზრისით:

- იდიომები, სადაც სტრუქტურა, სიტყვების გამოთქმა/გამოხატვა არაწესიერია, მაგრამ მნიშვნელობა შედარებით გასაგები.

- იდიომები სწორი/წესიერი ფორმით, მაგრამ გაუგებარი მნიშვნელობით.

- იდიომები, რომლებშიც ორივე ფორმა და მნიშვნელობა ანომალურია (Kvetko 2009:107). ავტორის აზრით, კავშირი იდიომებში შეიძლება იყოს ომონიმური, სინონიმური და ანტონიმური.

- ომონიმური არის ორი იდიომი ერთნაირი წერილობითი/ზეპირი ფორმით, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით.

- სინონიმური იდიომები ერთნაირი, ძალიან ახლო მნიშვნელობით

- ანტონიმური იდიომები საპირისპირო მნიშვნელობით (Kvetko 2009:108).

ავტორების აზრით, იდიომები არ წარმოადგენენ სასაუბრო ფრაზებს, როგორც ბევრი ადამიანი ფიქრობს, ისინი ჩნდებიან ოფიციალურ სტილში, სლენგში, პოეზიაში, შექსპირისა და ბიბლიის ენაში (Seidl & McMordie 1988:12).

ფერნანდო (1996) შემდეგი სახის იდიომებს განასხვავებს:

1. წმინდა იდიომები - კონვენციონალიზებული, არაზუსტი მრავალსიტყვიანი გამოთქმა, არაზუსტი მნიშვნელობა აკისრია იდიომს, როგორც მთლიანს;

2. ნახევრად სიტყვასიტყვითი/ზუსტი იდიომები - შეიცავს ერთ ან მეტ ზუსტ შემადგენელს, სადაც ყველაზე ცოტა ერთს გააჩნია არაზუსტი ქვემნიშვნელობა;

3. სიტყვასიტყვითი იდიომები - ისინი არიან სემანტიკურად ნაკლებად რთული,ვიდრე სხვები;

ავტორები განსხვავებულ იდიომთა ტიპებს გამოყოფენ:

ფორმა

1.ზმნა+ დამატება

2.წინდებულიანი ფრაზა

3.ნაერთი

4.მსგავსება/შედარება(as+adj+as,or like +noun)

5.ორწვერა (word+and+word).

6.სამწვერა (word+word +and+word))

7. მთავარი ან დამოკიდებული წინადადება ან წინადადება(McCarthy&O'Dell,2002:6)

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული იდიომის სტრუქტურა, ძირითადად, სხვა ენებში დამკვიდრებულ იდიომთა სტრუქტურის მსგავსია, ფორმით იგი შესიტყვებაა, შედგენილი მინიმუმ ორი კომპონენტისგან. (ახალაძე 2021: 4), თუმცა, ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში დასტურდება კომპოზიტური წარმოების იდიომებიც:

ქართული იდიომები

- **თავგამოუბმელი** - დაუბინავებელი, შეუკრებელი ერთად თავმოყრელი, შეუნახველი, შემოუტანელი, დაულაგებელი,პატრონმიუჩენელი, გასათხოვრად დარჩენილი (ქალი). „როგორ თუ საქმე გამომლევია? ცოლ-შვილი ყელგადაგდებული დავეყარე, იმოდენა მოსავალი თავგამოუბმელი დარჩა და საქმე გამამლევია“ (მელან.) / სახოკია, გვ.217/

- **თავგზიანი** ჭკვიანი, მიხვედრილი, გონიერი, გამოქნილი,გამოცდილი, მოხერხებული. „თუ თავგზიანი მამასახლისია,ისიც გაიკრავს რასმე მშვიდობიანად“. /სახოკია, გვ.217/

- **თავდიდება** - ამპარტავნობა, თავის მოწონება, სიამაყე, კვებნა, ქადილი. „სადა ხარ ჩიტო, გამოჩნდი, გამო, რას მეთავდიდები“ (გ. ლეონიძე) / სახოკია, გვ.217/

- **თავმძიმედმყოფი** - ქეიფიანი, მთვრალი. იხ. თ. რაზიკაშვილის ლექსიკონი, „ივ“ 1900 იგულისხმება, რომ ნასვამ კაცს სხეული უდუნდება, განსაკუთრებით თავი უმძიმდება, ეკარგვის ვერტიკალური მდგომარეობა, ქვევითკენ იხრება /სახოკია, გვ.242/ აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე აღებული სიტყვა იდიომად არ განიხილება.

იდიომის სტრუქტურაში არ არის განსაზღვრული სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა, შეიძლება დაიყოს ერთ- ორ- სამ- და ა.შ. წევრიან ფრაზეოლოგიზმად. (ახალაძე 2021:47)

- **თავგამობმული საქმე** - შესრულებული,დამთავრებული,გაკეთებული საქმე. „ის საქმე, რომელშიაც ეს მოხუცი მიიღებდა მონაწილეობას,უეჭველად თავგამობმული შეიქმნებოდა (ა. ყაზბეგი) / სახოკია, გვ.217/

- **თავის გამსუბუქება** - სიდარბაისლეზე ხელის აღება ,არასერიოზულობა,უჭკუობა. „თავი არ გაიმსუბუქო.რაც სიმსუბუქე გაკლია, გადანაფურთხის ალოკვა კაცისთვის დიდი ნაკლია“ (ვაჟა)

- **თავისთავის კითხული** - დამოუკიდებელი, თავის ნებაზე გამკეთებელი საქმისა,სხვათა დაუკითხავად მყოფი. „ნიადაგ ძვირფასია საკუთარი კერა: თავის სახლში ადამიანი თავისუფალია, თავისთავის კითხული“ (ვ. ბარნოვი).

- **თავნაზურას გადიდენს** - გულმოდგინედ და თავდაუზოგველად იმუშავენს.

გალეწილი პურის განიავების დროს მსხვილი ნალეწის ნარჩენს ,რომელიც ხორბლის მარცვლებთან ერთად ძირს ეყრება, ჰქვია ჩელხი, ხოლო ამაზე წმინდა ბზეს,რომელიც საქონლის საკვებად არ ვარგა და ნიავს გააქვს კალოს გარეთ, ჰქვია ბრე ანუ ანუ ნაბუარი. „ისე კარგად გალეწა პური,რომ ბრე ანუ ნაბუარი აადინაო“. ნაბუარი მაგრად ლეწვის დროს ჰაერში ადის და თავს გადაედინება ხოლმე მლეწველს.

ნაბუარის თავს გადადენა გულისხმობს, საზოგადოდ ,გულმოდგინე და თავგამოდებულ მუშაობას ლეწვის დროს, როცა ბზე მტვრად იქცევა ხოლმე.

ეს თქმა დაცინვით იხმარება ზარმაც და თავიძვრენია კაცის შესახებ. „რა თავნაზურას გადიდენს!“იტყვიან ისეთზე; ვისაც მუშაობა და,საერთოდ, საქმის რისამე გაკეთება ესიკვდილება ხოლმე / სახოკია, გვ.242/

- **თავზე ბალბა დავადე** - გაბრაზებული დავამშვიდე, დავაწყნარე, მოვარბილე. მაგ., მართალია, შენი მეგობარი ძალზე იყო გაბრაზებული, მაგრამ თავზე ბალბა დავადევი დავამშვიდე“.

მხალი, ბალბა, მოხარშული, ხალხურ მედიცინაში იხმარება ჭრილობაზე დასადებად, ჭრილობის სიმწვავის დასაყუჩებლად და მოსარჩენად. ამ შემთხვევაში კი იგულისხმება, რომ გაბრაზებული ადამიანი ისევე გამწარებული, როგორც დაჭრილი ადამიანი და ეს გამწარება თავში გროვდება; ბალბაც, ეს ყოველგვარი სიმწვავის დამაყუჩებელი საშუალება, სწორედ თავზე უნდა დავადოთ გაბრაზებულს დასამშვიდებლად.

აქ „ბალბა“ ხატოვნადაა ნახმარი და უდრის ენით, მოფერებით, ტკბილი სიტყვებით დამშვიდებას, დაწყნარებას ადამიანისას.

- **თავზე ბაყიას მატეხს** - საყვედურით მავსებს, დაუსრულებლად მაცყედრის, ერთთავად ჩემს საყვედურშია.

- **თავზე კაკლის მტვრევა** - არაფრად მიჩნევა, აბუჩად აგდება, დაჩაგვრა, ჯობნა, დამცირება. „ილიას ერთი ზნე ჰქონდა: ჭირვეულობა იცოდა. ერთი თუ არას იტყოდა, თავზე კაკალი გემტვრიათ, „ჰოს“ ვეღარ ათქმევინებდით“. (ი. მანსვეტაშვილი) კაკლის მტვრევა ვისიმე თავზე გამოხატავს არა ვაჟკაცის მიერ ფიზიკურ შეურაცხყოფას, არა სწორის მიერ საბრძოლველად გამოწვევას სწორისას, ბრძოლის ყოველი წესის დაცვით, არამედ მომრევის მიერ აბუჩად აგდებას მორეულისას, მის კაცად ჩაუგდებლობას, ბრძოლის ღირსად უცნობლობას.

- **თავზე მტვრის გადადენა** - ჯობნა, დამარცხება, მტვრად ქცევა. „ზოგმან სთქვა: ახლავ მიუხდეთ (მტერს), თავს გარდვადინოთ მტვერია!“

როცა მტერი მტერს დაამარცხებს, იგულისხმება, რომ მოიწადინებს მის სრულიად მოსპობას ანუ დაფშვნას მტვრად ქცევას.

- **თავზე ქვა დაიგორა** - აიხირა რამე, არ უნდა გადასთქვას ნათქვამი, თავისი უნდა გაიყვანოს.

ეს თქმა გაჩენილია ერთი ახირებული და ჯიუტი ადამიანის საქციელის გამო. რაღაც უსაფუძვლო აუხირებია და თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად ქვა აუგდია, თავი შეუშვერია

და უთქვამს: ეს ქვა რომ დამეცეს კიდევ, არაფერს მიზამსო. ხოლო თვითონ თქმა - თავზე ქვა დაიგორა - გამომხატველია ჯიუტის, თავის ნათქვამი ადამიანის საქციელისა.

- **თავზე წნელი მოუჭირეთ** - ჭკუა არ გაეპაროს თავიდან. იტყვიან დაცინვით, როცა ადამიანი სულელურ რამეს იტყვის და ჰგონია - ჭკვიანური ვთქვიო.
- **თავით მარილის დანაყვა** - ვისთვისმე თავის დაუზოგველობა, უზომო პატივისცემა.

იხმარება ვისიმე უმადურობის, პატივისცემის - დაუფასებლობის გამოსახატავად. მაგ.: „მავანი ისეთი უმადურია, რომ თავით მარილი რომ დაუნაყო მაინც არ გადაგიხდის შენს პატივისცემას“.

- **თავის დაღება ძირს** - დაღონება, სასოწარკვეთა, ვისთვისმე მორჩილების გამოცხადება, გულის გატეხა, ვისიმე წინაშე ქედის მოხრა. „თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ძირს აღარ დავიღე“ (თ.რაზიკ.)

- **თავზე მამალ ბუზს არ ისვამს** - მეტად ამაყია, უკადრისია, ქედმაღალია, ყოყოჩია, არავისი ერიდება, არავისი ეშინია, მოკრძალება არავისი აქვს. „იმისი ცოლი კეკო, ძრიელ ყოყოჩობს, მამალ ბუზს თავზე არ ისვამს“ (ე.მენთემ.) იგულისხმება, რომ მამალი ბუზი უფრო კადნიერი და გამბედავია დედალ ბუზზე. მაგრამ ისიც კი ვერა ბედავს დააჯდეს თავზე იმას, ვის შესახებაც ლაპარაკია და ვისი უკრძალველობა და სიამაყე ყველასათვის ცხადია.

გრამატიკული თავისებურებების მიხედვით გამოიყოფა სახელური და ზმნური იდიომები. სახელური იდიომები: თავგამობმული საქმე, თავზე კაკლის მტვრევა, თავზე მტვრის გადადენა, თავის გამსუბუქება და ა.შ. ზმნური იდიომები: თავზე ბალბა დავადე, თავზე ბაყიას მატეხს, თავზე წნელი მოუჭირეთ, თავზე ქვა დაიგორა და ა.შ.

„ზმნური იდიომების ცენტრალურ კომპონენტს ზმნა წარმოადგენს. ქართული ენის გრამატიკულ და სტილისტიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ზმნური იდიომური გამოთქმები ძირითადად იცავს გარკვეულ თანმიმდევრობას შესიტყვებებში, კერძოდ, იდიომი თავისუფალი შესიტყვების მსგავსად ზმნას ბოლოში აქცევს (ზაალიშვილი 2018:40).

ნაშრომში განხილული თეორიული და პრაქტიკული ნაწილების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინებით დასტურდება თავთან დაკავშირებული სახელური და ზმნური იდიომები. ფორმით

შესიტყვება შედგება ორი,სამი და ოთხი კომპონენტისაგან. დავაფიქსირეთ რამდენიმე კომპოზიტიური წარმოების იდიომებიც.

ინგლისური იდიომები

1.(as) Cross as a bear with a sore head

Definition:exceptionally angry,annoyed, or irritable (<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

2.Cool head

Definition:the ability to remain calm and rational during stressful situations(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

3. A head-scratcher

Definition: a thoroughly complex or difficult mystery,problem,puzzle,or riddle (<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

4. A light bulb goes on in (one's) head

Definition: one is suddenly struck with an ingenious or inspired idea,insight,or revelation(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

5. A still tongue makes a wise head

Definition: Proverb.It's much wiser to speak only when it's appropriate or after one has thought carefully about what one wants or needs to say(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

1. All in (one's) head

Definition: not substantial or real,having been imagined or invented (<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

7. Build up a head of steam

Definition: to gain momentum or the energy needed to move forward (<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

8.Cool heads must prevail

Definition: calm people, thoughts or actions must triumph in the end(
<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

9. Eyes in the back of (one's) head

Definition: the ability to detect what's going on all around one, even beyond one's field of vision(
<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

10. Have a fat head

Definition: to be conceited, arrogant or self-aggrandizing
(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

11. Have rocks in (one's) head

Definition: to be thoroughly stupid, crazy, absurd, incorrect

(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

12. Heads I win, tails you lose

Definition: A humorous statement, meaning " No matter what the outcome is, I still win or benefit" ...
(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

13. Have windmills in (one's) head

Definition: to be lost in dreams and illusions, rather than rooted in reality(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

14. Get your head out of the clouds

Definition: stop daydreaming or fantasizing and focus on reality(
<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

15. Heavy hangs the head that wears a/the crown

Definition: the person who has the most power or authority suffers from the largest amount of stress, anxiety, doubt and worry(<https://idioms.thefreedictionary.com/head>)

სტატიაში განხილულია 15 ინგლისური იდიომი. კონსტრუქციის თვალსაზრისით, განხილულ მაგალითებში გვხვდება უზმნო იდიომები და იდიომები წინადადების სტრუქტურით. სემანტიკური კუთხით ნაწილი იდიომებისა დემოტივირებულია, ნაწილი - ნაწილობრივი, ნაწილი - ნახევარიდიომია. არარეგულარობის თვალსაზრისით, სტატიაში განხილულ ინგლისურ იდიომთა უმრავლესობა წესიერია. განხილული იდიომები დაიყოფა ორ ჯგუფად: წმინდა იდიომები და ნახევრად იდიომები. ფორმის მიხედვით იდიომებში გვხვდება შედარება, წინდებულიანი ფრაზა, ნაერთი, ზმნა+დამატება და წინადადება.

ნაშრომში განხილული ქართული და ინგლისური იდიომების მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს როგორც მსგავსება, ასევე გარკვეული განსხვავება ქართულ და ინგლისურ იდიომებში მათი შემადგენელი კომპონენტების თვალსაზრისით. ორივე ენაში გვხვდება ორი, სამი თუ ოთხ კომპონენტის იდიომები, თუმცა, ინგლისური ენის იდიომებში უფრო კომპონენტთა სიმრავლე შეიმჩნევა.

ლიტერატურა:

ახალაძე ა., *იდიომური გამოთქმები ქართულ და თურქულ ენებში*, ბათუმი, 2021.

გამყრელიძე თ., კიკნაძე თ., შადური ი., შენგელია ნ., *თეორიული ენათმეცნიერების კურსი, მეორე კურსი, მეორე გამოცემა*, თბ., 2008.

ზაალიშვილი ნ., *ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული, რუსული და ესპანური ენების მასალის მიხედვით)*, დისერტაცია, თბილისი 2018.

თაყაიშვილი ა., *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, თბ., 1961.

ლობჯანიძე ი., *იდიომის სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების საფუძველზე)*, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2012.

სახოკია თ., *ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი*, თბ., 1979.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბილისი, 1955, ტ. IV, თბ., 1965.

შეროზია რ., იდიომთან დაკავშირებული საკითხები, ქართველური მემკვიდრეობა, XVIII, თბ., 2014.

Fernando, Ch. *Idioms and Idiomaticity*. Oxford: Oxford University Press. 1996

Kvetko, P. English, *Lexicology in Theory and Practice*. Trnava: Univerzita Sv. Cyrila a Metoda v Trnave Mc, 2009.

McCarthy, M & O'Dell, F. *English Idioms in Use*. Cambridge: Cambridge University Press, 2002

Seidl, J. & McMordie, W. *English Idioms*. Oxford: Oxford University Press, 1988

ინტერნეტწყარო:

<https://idioms.thefreedictionary.com/head>